



არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე)

ბიოეთიკა: საკრალური და სეკულარული განზომილებანი

თეზისები

ბიოეთიკა ცოდნის შედარებით ახალი, სწარაფადგანვითარებადი დარგია. მასზე დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, კიდევ უფრო მეტს წერენ; იგი ხდება საზოგადოებრივი განსჯის საგანი; მასზეა დამოკიდებული ყოველგვარი ბიოსამედიცინო სიახლის ბედი...

მაშ ასე, ჩვენი სემინარის თემაა ბიოეთიკა! ეთიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება სიცოცხლე მოუსწრაფო ადამიანს, არ შეიძლება სასიკვდილო განაჩენი გამოუტანო უმწეო მოხუცს, ან ჯერ კიდევ არდაბადებულ ბავშვს, არ შეიძლება ამკვიდრებდე სიკვდილს!!! მით უმეტეს, რომ შენ ექიმი, მეცნიერი, გენეტიკოსი, ტრანსპლანტოლოგი, მეან-გინეკოლოგი... გქვია. შენ ხომ იმედიტა და სიცოცხლის სურვილით სავსე თვალები შემოგყურებენ... მაგრამ პარადოქსი: ჩვენ სიკვდილს ვემსახურებით... როგორ მოხდა ეს? რა გზით მივდით ჩვენ ყველანი აქამდის?

მედიცინის ახალი შესაძლებლობები დაკავშირებული აღმოჩნდა ადამიანის სიცოცხლის მართვასთანაც:

1. „შექმნას“ ცოცხალი არსება, ან მისი ნაწილები (ქსოვილები და ორგანოები) კლონირების ტექნოლოგიის დახმარებით;
2. „მისცეს“ ადამიანის სიცოცხლეს დასაწყისი ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებით;
3. შეცვალოს ადამიანის მემკვიდრეობითი, სოციალური,

ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ. მაჩვენებლები გენურ მედიცინაში, ტრანსსექსუალურ, პლასტიკურ და ესთეტიკურ ქირურგიასა და სხვა დარგებში არსებული შესაძლებლობების მეოხებით;

4. „გადანოს“ სიკვდილის მომენტი კრიტიკული მედიცინის, რენიმატოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის, ტრანსპლანტოლოგიის, გერონტოლოგიის, ფარმაცოლოგიის მიღწევების კლინიკაში დანერგვის წყალობით.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პარალელურად არ ხდება ადამიანთა სულიერი განვითარება, მისი მიღწევები ასეთ საზოგადოებაში შესაძლებელია გამოიყენებოდეს კაცობრიობის საწინააღმდეგოდაც კი, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ღირებულებებს მიიჩნევს საზოგადოებრიობა უმაღლესად, თუ რამდენად დროული, ბრძნული, მორალური და ადეკვატური იქნება მისი რეაქცია ეთიკური დილემების გადასაწყვეტად. ბიოეთიკური დილემების რიცხვი კი აურაცხელია:

მკვდარია თუ არა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელსაც გული უცემს, ანუ როდის ჩავთვალოთ სიკვდილის მომენტი დამდგარად?

არის თუ არა ადამიანის ჩანასახი ადამიანი და ითვლება თუ არა მისი სიცოცხლის იძულებით შეწყვეტა მკვლევლობად?

რატომ გვთავაზობენ მავანნი მეცნიერნი ადამიანის ჩანასახის ადამიანად აღიარების სხვადასხვა ვადებს და ვის ჭირდება ეს?

მოვუსწრაფოთ თუ არა სიცოცხლე ევთანაზიის გზით განუკურნებელი სნეულებით შეპყრობილ ადამიანებს?

გამომდინარე იქიდან, რომ წმინდა წერილში გარკვევით წერია: ღმერთმა მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ადამიანი, უნდა, ეძებოს თუ არა გაუკუღმართებულმა აზროვნებამ სქესის „შემცვლელი“ ოპერაციების გამამართლებელი არგუმენტები?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ტრადიციული სამედიცინო ეთიკა თავისი არსებობის 24-25 საუკუნეს მაინც ითვლიდა, აუცილებელი აღმოჩნდა აღმოცენება და ჩამოყალიბება ახალი ეთიკური აზროვნებისა.

ბიოეთიკურ ცნებათა აპარატი (კონცეპტუალური ბირთვი) წარმოდგენილია ტეტრადათ: ავადმყოფობა-ჭანმრთელობა-სიცოცხლე-სიკვდილი.

ბიოეთიკური ცოდნა აერთიანებს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ფილოსოფიას, სამართალმცოდნეობას, ღვთისმეტყველებას და თავის დასკვნებს აფუძნებს ისტორიულ-ტრადიციულ, ეროვნულ, რელიგიურ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე.